ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №3152001

ნომერი: AR1484892

თარიღი : 09.03.2017

გაცემის თარიღი : 16.03.2017

გაცნობის თარიღი : 16.03.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დელისი , N 3 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიზო გოგოძე პ/ნ 01003001523
- მცხეთა ფიქრის გორა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 9 მარტის #AR1484892 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისის მერიის ურბანული

დაგეგმარების საქალაქო სამსახურის  მიერ 2006 წლის 15 ივნისის #3040 გადაწყვეტილებით დადგენილ ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანას.
პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის  მიერ, ქ. თბილისში დელისის ქუჩა #3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდით: #01.10.15.006.040) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით გაიცა #3040 (15.06.2006) ქალაქმშენებლობითი პირობები საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3)-ის შესაბამისი პირობებითა და პარამეტრებით (კ1=0,5; კ2=1,8; კ3=0,1). ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 21 ნოემბრის #275 ბრძანებით აღნიშნულ ტერიტორიაზე განაშენიანებისთვის მიენიჭა ინტენსივობის კოეფიციენტი კ2=2,45. ასევე, ქ. თბილისის მერის 2013 წლის 5 ივლისის #1378 განკარგულებით, ქ. თბილისში, დელისის ქუჩა #3-ში მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტი კ2 განისაზღვრა 3,7-ით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რადგან მინიჭებული ქალაქმშენებლობითი პარამეტრების დაფიქსირება არ საჭიროებს ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილებას, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის  მიერ 2006 წლის 15 ივნისის #3040 გადაწყვეტილებით დადგენილ ქალაქმშენებლობით პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ  შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.